ა-54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1934 წლის ავგისტოს 31	№ 13-14 განყოფილებამაპირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 117. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 46 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

118. ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ.
119. ხელოვნებათა ყოველლიური საამიერკავკასიო ოლიმპიადების მოწყობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

120. „ა/კ. ენერგოსთან“ აბალსაშენებელთა სამშენებლო ფართობების ამორჩევის შეთანხმების შესახებ.
121. 1934 წელს თივის მოსავლის აღების გეგმისა და თივის მოსავლის აღების კამპანიის მსვლელობის შესახებ.
122. ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების შესახებ.
123. 1934 წელს საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.
124. ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სახელმწიფო საკონდიციო ბიუროს შესახებ.
125. 1934 წლის მოსავლის გერანიუმ-მწვანეულის დამზადების გეგმის შესახებ.
126. მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ინდივიდუალურ მეურნეობათა მონაწილეობის შესახებ.
127. 1934 წელს განმეორებით საშემოდგომო ნაკვები აბრეშუმის ჭიის პარკის ღამზადების შესახებ.
128. 1934 წელს სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების შტატებისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ.
129. 1934 წლის მოსავლის „კუდრიაშ“-სელის თესლის დამზადების გეგმის შესახებ.
130. ა/კსფსრ-ში საბიბლიოთეკო აღწერის ჩატარების შესახებ.
131. 1934 წელს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საშემოდგომო თესვის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1574.

132. 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის აღებისა და დამზადების შესახებ.
133. 1934 წელს ადგილობრივი საშენი მასალის ფასების შესახებ.
134. კოლექტიურ მეურნეობებში განსაზოგადოებული ნახირის (ფარა, ჯოგი) სასაქონლო ფერმების მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.
135. „ა/კსფსრ-ში მეხილეობის და მევენახეობის განვითარების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა ხაბჭოს 1934 წ. ივლისის 2-ის დადგენილების აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
136. მასწავლებელთა მოპარაგების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

117. **ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 46 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.**

„სსრკ-ის ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინის წესდების დამტკიცების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 27-ის დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისირთა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 46 მუხლის შენიშვნა (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14—15 №-ი, მუხ. 131) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** 46 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის მომუშავეებზე, რომელთა სამსახურში მიღება და დათხოვნა რეგულირდება სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინას წესდებით".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. ივლისის 27.
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

118. ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ.

საერთო-საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. ივლისის 10-ის დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელიც მოქმედობს საერთო-საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულების საფუძველზე.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველონი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. ივლისის 17.
ტფილისი.

---

119. ხელოვნებათა ყოველწლიური საამიერკავკასიო ოლიმპიადების მოწყობის შესახებ.

ამიერკავკაიიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, აღნიშნავს-რა ხელოვნებათა პირველი საამიერკავკასიო ოლიმპიადის დიდ მნიშვნელობას და წარმატებას, როგორც ერთ-ერთ საშუალებას ა/კსფსრ ხალხთა ინტერნაციონალური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ნაციონალურ-კულტურულ მშენებლობაში და ხალხური ნიჭატვრული შემოქმედების შემდგომი ზრდისა და განვითარების სტიმულირებისათვის,—ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ყოველწლივ ხელოვნებათა საამიერკავკასიო ოლიმპიადა, რომელიც უნდა იმართებოდეს მაისის 30-ს.

2. მოეწყოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მუდმივ მომქმედი კომიტეტი აღნიშნული ოლიმპიადების მოწყობისა და ჩატარებისათვის.

3. ხელოვნებათა ამიერკავკასიის ოლიმპიადების იმ ჯგუფურ და ინდივიდუალურ მონაწილეთა დასაპრემიებლად, რომელნიც თავს იჩენენ, დაწესებულ იქნეს შემდეგი სახის ჯილდო:

1. I-ლი ხარისხის სიგელი.
2. მე-II ხარისხის სიგელი.
3. ბე-III ხარისხის სიგელი.
4. საპატიო წერილი.
5. ფულადი პრემია.

4. ოლიმპიადის განსაკუთრებულად წარჩინებულ ინდივიდუალურ მონაწილეთათვის დაწესებულ იქნეს: სპეციალური და სანატორიული მკურნალობა, განსაკუთრებული მომარაგება და სსრკ-ის ფარგლებში და საზღვარგარეთ წარვლინება.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—გაითვალისწინოს ბიუჯეტით ოლიმპიადების ჩასატარებლად სპეციალური ასიგნები.

6. ერეკომენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ხელოვნებათა ყოველწლიური რესპუბლიკანური ოლიმპიადების პრაქტიკა და განახორციელონ ანალოგიური ზემოაღნიშნული ღონისძიებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. ივლისის 27.
ტფილისი.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

120. „ა/კ. ენერგოსთან" ახალსაშენებელთა სამშენებლო ფართობების ამორჩევის შეთანხმების შესახებ.

როგორც არსებული, ისე ახლად შენებული სარაიონო თბო და ელექტროცენტრალებიდან თბოენერგიის (ორთქლი ან ცხელი წყალი) რაც შეიძლება რაციონალურად გამოსაყენებლად სამრეწველო საწარმოთა, ქალაქთა და მუშათა დაბათათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ სამრეწველო საწარმოთა, ქალაქთა და მუშების დაბათათვის, რომელნიც იყენებენ სითბოს (სითბოს გამოყენება—დაწყებული 15 ტონნა ორთქლიდან მაქსიმუმ საათებში), ახალი სამშენებლო ფართობების ამორჩევის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ამოცანა მომხმარებელთა ისეთი ტერიტორიალური მოთავსებისა, რომ მიღწეული იყოს თბო-ენერგიის მაქსიმალურად გამოყენება სარაიონო თბო-ელექტრომაგისტრალებიდან.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ყველა სახალხო კომისარიატს და სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციას:

ა) ჩაურთოს „ა/კ. ენერგოს“ წარმომადგენელნი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მშენებლობისა, კომუნალური მრეწველობისა და ახალი ქალაქების და მუშათა დაბების ახალსაშენებელთათვის ფართობთა ამომრჩევ კომისიებში;

ფართობთა საბოლოო ამორჩევა უნდა სწარმოებდეს „ა/კ. ენერგოსთან“ შეთანხმებით;

ბ) რათა სარაიონო თბო-ელექტროცენტრალების გარშემო რაც შეიძლება ბლომად თავმოყრილ იქნენ თბოენერგიის წვრილი მომხმარებელნი ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური, საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი (საავადმყოფო, სასადილო, სამრეცხველო, ფაბრიკა-სამზარეულო, საცხობი და სხვა მისთ.), ამ მშენებლობისათვის სამშენებლო ფართობთა ამორჩევა აუცილებლად შეუთანხმონ ადგილობრივ საგეგმო ორგანოს.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებს და სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს—ზედმიწევნით მისდიონ მე-2 მუხლის „ა“ ლიტერით დადგენილ წესს.

4. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ არ უნდა შეიტანოს სატიტულო სიებში ის ახალსაშენებელი, რომლის ფართობებიც შეთანხმებულ არ არის „ა/კ. ენერგოსთან“.

უკეთუ აღიძვრის შეუთანხმებლობა „ა/კ. ენერგოსა“ და უწყებებს შორის დავა უნდა გადასწყვიტოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. ნუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. ივლისის 20.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 169 №-ში 1934 წ. ივლისის 22-ს.

---

121. 1934 წელს თივის მოსავლის აღების გეგმისა და თივის მოსავლის აღების კამპანიის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობა 1934 წელს თივის მოსავლის აღების გეგმისა და თივის მოსავლის აღების კამპანიის მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. „1934 წელს თივის თიბვისა და თივის მოსავლის აღების შესახებ“ გამოცემული სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 29-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 32 №-ი, მუხ. 238) გაიიდებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1934 წ. ივნისის 19-ს მიღებული, ა/კსფსრ-ში თივის მოსავლის აღების გეგმა—ბუნებრივი სათიბების ხაზით—42.270 ჰექტარით და იგი მიღწევინებულ იქნეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღვრულ რაოდენობამდე—709.000 ჰექტარამდე.

აღნიშნული 42.270 ჰექტარი განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებზე და სექტორებზე შემდეგნაირად:

ჰექტარობით

რესპუბლიკები	სულ	მიწ-დების სახ. კ-ტის საბჭოთა მეურნეობანი (მათ შორის საბჭ. მეურ-ნეობების სახ. კ-ტის ყოფ. რწმ-ლის მეცხ. საბჭ. მეურნეობანი)	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალ. მეურნეობანი
აზერბაიჯანი სსრ	22.863	4.363	16.000	2.500
სომხეთის სსრ	7.727	7.000	227	500
საქართველოს სსრ	11.680	5.000	3.640	3.040
ა/კსფსრ	42.270	16.363	19.867	6.040

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გაანაწილონ ეს ფართობები რაიონებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე და სასოფლო საბჭოებზე.

2. აღსანიშნავია-რა თივის მოსავლის აღების არადამაკმაყოფილებელი მსვლელობა, განსაკუთრებით ა/კსფსრ დაბლობ რაიონებში—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მიიღონ თავიანთი განსაკუთრებული ოპერატიული ხელმძღვანელობის ქვეშ კონახკენდისა, დასტაფიურისა, ლაჩისა, ქელბაჯარისა, ქედაბეკისა, ზურნაბადისა, სტეფანავანისა, აღბაბასა, აბარანისა, ახტისა, დელიჯნისა, ბასარგეჩარისა, წალკისა, ბაშკიჩეთისა, ბოგდანოვკისა, აღპულახ-მანგლისისა, ონისა და ბორჯომის რაიონები, როგორც ჩამორჩენილნი თივის მოსავლის აღების სამომზაოებლო მუშაობაში, და მიამაგრონ ამ რაიონებზე სარაიონო ორგანიზაციების დასახმარად პასუხისმგებელი მომუშავენი და სპეციალისტნი;

ბ) დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მთისძირის რაიონებისა და მთის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—ჩაატარონ თივის მოსავლის აღება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაზე და დაამთავრონ იგი აუცილებლად 1934 წ. ივლისის 25-თვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება თივის მოსავლის აღებას ინდივიდუალურ სექტორში, როგორც უფრო ჩამორჩეულში (1934 წ. მაისის 15-მდე ა/კსფსრ ინდივიუალურ სექტორში გეგმა შესრულებულია 19,4 პროცენტით), მოაწყონ-რა ფართო დახმარების გაწევა ჩამორჩენილი მეურნეობებისათვის, და იხმარონ პრაქტიკული ღონისძიებანი ინდივიდუალური სექტორის ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ;

დ) დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს და სამანქანო სატრაქტორო სადგურებს—დაამთავრონ ხუთი დღის ვადაზე თივის მოსავლის აღება ჩამორჩენილ დაბლობ რაიონებში;

ე) დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—შემოიღონ თივის მოსავლის აღების მსვლელობის აღრიცხვა საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ყოფილი რწმუნებულის სისტემის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც გადავიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში, ა/კსფსრ-ში საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის გაუქმებასთან დაკავშირებით, და წარმოადგინონ 1934 წ. აგვისტოს 1-თვის ამ მეურნეობებში თივის მოსავლის აღების მსვლელობის პირველი ჯერმლი.

3. უარყოფილ იქნეს სოციალისტური სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობა თივის საერთო გამოსავალის 280.718 ტონამდე შემცირების შესახებ.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ავალებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაშალონ მუშაობა თივის მოსაკლის აღების გეგმის უცილობლად შესრულებისათვის, რაც ერთი უაღრესი მნიშვნელობის ამოცანათაგანია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენარმიე მიერ „მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ“ მიღებული დადგენილების განხორციელების სფეროში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. ივლისის 23.
ტფილისი.

---

122. ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს გეგმა 1934 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადებისა ა/კსფსრ-ის ყველა იმ რაიონში (უაფხაზეთოდ), სადაც შეიფარდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა სამრეწველო სტანდარტი № 5112, 1.300 ტონას რაოდენობით და რესპუბ-ლიკებზე შემდეგი განაწილებით:

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი	ტონნათა რაოდენობა	აქედან 1-ლი მონატეხი თამბაქოს („დიპა“) დამზადების გეგმა.
აზერბაიჯანის სსრ	250	214
სომხეთის სსრ (ლამბალოს საბჭოთა მეურნეობითურთ)	250	162
საქართველოს სსრ	800	511
ს უ ლ	1.300	887

2. ვადამდე დამზადდეს მხოლოდ დაბალი იარუსის ფოთლები („დიპა“), ხოლო მე-2 იარუსის ფოთლების („ხაშლამა“) დამზადება შეიძლება იმ ფარგლებში, რაც საჭიროა 1-ლ მუხლში აღნიშნული, დამზადების გეგმების შესრულებისათვის თვითეულ რესპუბლიკაში მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მთლად მორჩენილი იქნება „დიპა“.

3. ვადამდე თამბაქოს დამზადების ვადა განისაზღვროს 1934 წ. აგვისტოს 15-დან სექტემბრის 30 მდე.

4. ვადამდე თამბაქოს დამზადებას ანხორციელებს „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემა იმ აუცილებელი პირობით, რომ სადამზადებლო ფასები დატოვებულ იქნეს წარსული წლის ძირითადი ფასების დონეზე.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაანაწილონ, დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით, სამი დღის ვადაზე, ვადამდე თამბაქოს დამზადების გეგმები რაიონებზე, უზრუნველჰყონ-რა სარაიონო ორგანიზაციების მიერ გეგმების დაყოფა და მიწვდენა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებამდე და მტკიცე დავალების წესით კულაკურ მეურნეობებამდე ერთი დეკადის ვადაზე.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალოს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მეშვეობით, ვადამდე თამბაქოს დამზადების რაიონების სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს თამბაქოს მოსავლის თავის დროზე აღებას, დამუშავებას და „სოიუზტაბაკსირიოს“ დამზადებელ პუნქტებში ჩაბარებას, სტანდარტის მოთხოვნათა შესრულებით და ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს გეგმის აღსრულებას.

7. დაევალოს „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემას—ვადამდე დამზადებული თამბაქოს ფაბრიკებისათვის ჩაბარების დროს—დაიცვას ყველა სასტანდარტო მოთხოვნა ნედლეულის თვისების მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მეთვალყურეობის გაწევა ვადამდე დამზადებული და ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხობრივი შედგენილობისა და თვისებისათვის დაეკისროს დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულებთან არსებულ სათამბაქო სახელმწიფო ინსპექციას.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს ვადამდე თამბაქოს დამზადების რაიონებში სამრეწველო საქონლის თავის დროზე შეზიდვა დამტკიცებული გეგმისა და ასსორტიმენტის შესაბამისად.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ დადგენილებანი თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის აკრძალვის შესახებ „1934 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკის დამზადების პერიოდში თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 16-ის თარიღისა და 1660 № ის დადგენილების შესაბამისად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. ივლისის 27.
ტფილისი.

---

123. 1934 წელს საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „1934 წელს საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. მაისის 22-ის თარიღისა და 1219 № ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 34 №-ი, მუხ. 268) დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ქალაქებსა და დაბებში საბინაო მშენებლობისათვის, რაც სწარმოებს „საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. აპრილის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 23 №-ი, მუხ. 180), ერთი კუბიკური მეტრის საშუალო ღირებულება 1-ლი №-ის დანართის თანახმად, ხოლო დანარჩენი მშენებლობისათვის—ერთი კუბიკური მეტრის საშუალო ღირებულება მე-2 №-ის დანართის თანახმად.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, რესპუბლიკებისა და მთავარი ქალაქებისათვის დადგენილი საშუალო ღირებულების საფუძველზე, უნდა განსაზღვრონ ერთი დეკადის ვადაზე საცხოვრებელი შენობის ერთი კუბიკური მეტრის ღირებულება ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონებისათვის; ამასთანავე; ანგარიშში მიღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ უნდა იქნეს საშენი მასალის დამტკიცებული რაიონობითი ფასები და აგრეთვე ადგილობრივი ტრანსპორტისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ფასები.

3. დადგენილ იქნეს, როგორც საგალდებულო წესი, რომ ცალკეული ობიექტის ხარჯთაღრიცხვა არ უნდა სცილდებოდეს უწყებული ადგილისათვის დამტკიცებული საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების ფარგლებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. ივლისის 31.
ტფილისი.

დანართი № 1 ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭოს 1934 წ. ივლისის 31-ის დადგენილებისა

1934 წლისთვის საბინაო მშენებლობის საშუალო ღირებულება.

(შენობის 1 კუბიკური მეტრი)

1. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები.

რესპუბლიკები და ქალაქები	აგურის შენობა 4-5 სართულიანი.	ბუნებრივი ქვის შენობა 4-5 სართულიანი.	შენიშვნა.
აზერბაიჯანის სსრ	35 მან. და 15 კ.	34 მან. 45 კაპ.	
ქ. ბაქო	—	34 „ 45 „	
სომხეთის სსრ	—	33 „ 74 „	
ქ. ერევანი	—	33 „ 74 „	
საქართველოს სსრ	35 მან. და 15 კ.	35 „ 15 „	
ქ. ტფილისი	35 „ „ 15 „	35 „ 85 „	

2. სანიტარული ტექნიკისა და შინაგანი და გარეგანი მოთავების სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით: გათბობა და ამწოვი ვენტილიაცია—2 მან. და 50 კაპ. (ან ჰაერით გათბობა—1 მან. 50 კაპ.); სამზარეულო კერა—1 მან. 20 კაპ.: ელექტროკანალიზაცია—70 კაპ.; წყალსადენი და კანალიზაცია—1 მან. და 30 კაპ.; ფასადის ჩვეულებრივი გალესვა—60 კაპ. (ფასადის გაუჯობესებული გამშვენიერება და საარქიტექტურო გაფორმება—განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით); სამზარეულოს, საბაზანოს და საპირფარეშოს ქსილოლიტის იატაკი—15 კაპ.; კედლის განჯინა და ცივი განჯინა სამზარეულოში, ეზო უკეთესად გამშვენიერებული და შინაგანი კეთილმოწყობა—65 კაპ.; აივანი—50 კაპ.; ფანჯრებისა, კარებისა, პანელებისა, სამზარეულოს, საბაზანოს, საპირფარეშოს და წინა შესასვლელი ოთახის გაუჯობესებული ზეთსაღებავით შეღებვა—85 კაპ.; პარკეტის იატაკის დაგების სამუშაოები—

2 მან.; აბაზანი დუშით და პირსაბანით (სათბობი ხელსაწყოს გარეშე)—50 კაპ.; ბინის რადიოფიცირება—15 კაპ.; ნაგავგამტარი—15 კაპ.; სახანძრო კიბე და სახანძრო ონკანი კიბეზე—15 კაპ.; ცხელი წყლის მიწოდება—1 მან.; აბაზანისა და საპირფარეშოს კედლებისა და იატაკის ერთი ნაწილის მოფიქალება—35 კაპ.; სულ 12 მან. და 75 კაპ.

შენიშვნა. სასანიტარო-სატექნიკო სამუშაოებისა და შინაგანი და გარეგანი მოთავების სამუშაოების დაფინანსება სწარმოებს ამ სამუშაოების მოცულობისა და ხასიათის სრული შესაბამისობით, რაც მიღებულია თვითეული ცალკე სახლის პროექტით.

3. შემდეგი სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნეს სპეციალური ხარჯთაღრიცხვების მიხედვით: გარეგანი კეთილმოწყობა და ნაკვეთის გამწვანება, საეზოო შენობები, პირველი წლის რემონტი—სუმმარულად არა უმეტეს 7 პროცენტისა; ნაკვეთის ათვისებისა და პროექტირების ხარჯები—სუმმართულად არა უმეტეს 25 პროცენტისა; გაუმჯობესებული სალესი სამუშაოები როგორც შენობის შიგნით (ლავგარდნების წევა, ქვესაბერები და სხვ.), ისე გარედან (ნამცეცოვანი მარმარილოთი და სხვ. მისთ.) და საარქიტექტურო გაფორმების სამუშაოები—სუმმარულად არა უმეტეს 3-4 პროცენტისა; ლიფტის მოწყობა—არა უმეტეს 6 პროცენტისა; სამრეცხველოს მოწ-ობა—1,5 პროცენტი; ელექტრონისა, წყლისა, კანალიზაციისა და სხვა მისთ. ქუჩიდან შეყვანა. ყველა ამ სამუშაოს სუმმარული ღირებულება საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი სამუშაობისა, მოთავების სამუშაოებისა და სასანიტარო-სატექნიკო სამუშაოების სუმმარული ღირებულების 20 პროც.

დანართი № 2 ა/კხფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ ივლისის 31-ის დადგენილებისა.

1934 წლისთვის საბინაო მშენებლობის საშუალო ღირებულება იმ მშენებლობისათვის, რაც დაწყებულია 1934 წლის ივლისის 1-მდე და ხორციელდება 1933 წელს მოქმედი სათვისებო სტანდარტების მიხედვით

((შენობის 1 კუბ. მეტრი).

1. ძირითადი სამშენებლო ლიმიტები.

რესპუბლიკები და ქალაქები.	აგურის შენობა 4-5 სართულიანი.	ბუნებრივი ქვის შენობა 4 5 სართულიანი.	შენიშვნა
აზერბაიჯანის სსრ	32 მან. და 40 კ.	32 მან. 21 კაპ.	
ქ. ბაქო	—	32 „ 21 „	
სომხეთის სსრ	—	31 მან. 56 კაპ.	
ქ. ერევანი	—	31 „ 56 „	აგრეთვე საქ. სსრ-თვის უტფილისოდ 32 მან. 76 კ.
საქართველოს სსრ	32 მან. და 40 კ.	32 მან. 87 კაპ.	
ქ. ტფილისი	32 „ „ 40 „	33 „ 10 „	

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შინაგანი და გარეგანი მოთავების სამშენებლო სამუშაოებისა და აგრეთვე სასანიტარო-სატექნიკო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით: აგურისა და ქვის შენობებისათვის: გათბობა და ამწოვი ვენტილიაცია—2 მან. და 50 კაპ.; სამზარეულო კერა—1 მან.; ელექტროგანათება—50 კაპ.; წყალსადენი და კანალიზაცია—1 მან. და 20 კაპ.; ფასადის გალესვა—60 კაპ., ქსილოლიტის იატაკი სამზარეულოში, საპირფარეშოში და სხვა მისთ.—15 კაპ.; კედლის განჯინა და ცივი განჯინა და შინაგანი მოთავება—55 კაპ., აივანი—50 კაპ.; შეღებვა—50 კაპ.; სულ 7 მან. და 50 კაპ,

შენიშვნა 1. სასანიტარო-სატექნიკო სამუშაოებისა და შინაგანი და გარეგანი მოთავების სამუშაოების დაფინანსება სწარმოებს ამ სამუშაოების მოცულობისა და ხასიათის სრული შესაბამისობით, რაც მიღებულია თვითეული ცალკე სახლის პროექტით.

შენიშვნა 2. საშუალო ღირებულებაში ჩართული არ არის: გარეგანი კეთილმოწყობისა, საეზოო შენობებისა და პირველი წლის რემონტის ღირებულება; ნაკვეთის ათვისებისა და პროექტირების ხარჯები. ამ სამუშაოებისათვის შეიდგინება ცალკეული ხარჯთაღრიცხვები. გარეგანი კეთილმოწყობისა, საეზოო შენობებისა და პირველი წლის რემონტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 8 პროცენტს.

შენიშვნა 3. საავტო-საჭაპანზიდვო გადაზიდვების საშუალო მანძილად მიღებულია 5 კილომეტრი.

---

124. ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სახელმწიფო საკონდიციო ბიუროს შესახებ.

ა/კსფსრ მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის პროდუქციის თვისებისათვის სათანადო კონტროლის უზრუნველსაყოფად და საქონლის თვისებრივი შეფასებისათვის თანაბარი მეთოდების დასამყარებლად როგორც ექსპორტისა, ისე შინაგანი ბაზრისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო უკვე არსებული საქართველოს მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის საკონდიციო ბიუროს რეორგანიზაციის ბაზისზე.

2. დამტკიცებულ იქნეს დებულება ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის საკონდიციო ბიუროს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. ივლისის 31.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი ა/კსფსრ სკს 1934 წ.
ივლისის 31-ის დადგენილებასა.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის საკონდიციო ბიუროს შესახებ.

1. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო ეწყობა ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან.

2. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროს ხელმძღვანელობს სპეციალური პირი—დირექტორი, რომელსაც ამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

3. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო არის ცალკეული დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული, რომელსაც აქვს თავისი ბუხჰალტერია და საკონტოკორენტო ანგარიში.

4. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო აწარმოებს როგორც ა/კსფსრ მეაბრეშუმეობისა, ისე აბრეშუმის მრეწველობის პროდუქციის თვისებრივი ნიშნების: ანალიზებს აბრეშუმის პარკის, ნედლი აბრეშუმის, გრეხილი აბრეშუმის, ქსოვილის, ფრიზონის და ჭუპრისა როგორც ექსპორტის, ისე შინაგანი ბაზრისთვის, საამისოდ არსებული საერთო-საკავშირო სტანდარტების მიხედვით.

5. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროს შესანახი ხარჯი იფარება მიიანალიზების შემოსავლით; ეს შემოსავალი—სპეციალური სახსარია, რომელიც ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროს მიერ ინახება და იხარჯება საამისოდ არსებული წესების მიხედვით.

შენიშვნა. ანალიზების ფასებს ამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

6. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო აწარმოებს აბრეშუმის პროდუქციის ანალიზებს იმ ნიმუშებზე, რასაც შეარჩევენ მისი წარმომადგენლები პარტიებიდან ადგილობრივ, საამისოდ არსებული წესების სრული შესაბამისობით, რისთვისაც ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო ჰნიშნავს თავის სპეციალურ წარმომადგენლებს, რომელთა კანდიდატურასაც ამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. სინჯის შერჩევის შემდეგ ხვეული მაშინვე ჩაფუთვილ უნდა იქნეს ამიერკავკასის საკონდიციო ბიუროს წარმომადგენლის თანადასწრებით.

შენიშვნა. აბრეშუმის მრეწველობის პროდუქტები, აგრეთვე აბრეშუმის პარკიც, რაც მიიღება ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროში ნიმუშების სახით ანალიზის გასაკეთებლად, რჩება ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროს განკარგულებაში უსასყიდლოდ.

7. ანალიზის მოხდენის შემდეგ ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო აძლევს შემოწმებულ პროდუქციას პასპორტს. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროს დასკვნა სავალდებულოა ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისათვის.

8. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიუროს უფლება აქვს, საჭიროებისადამიხედვით, გახსნას თავისი ფილიალები მეაბრეშუმეობის დიდრონ რაიონებში.

შენიშვნა. ფილიალისა თუ განყოფილების მოწყობა დამოკიდებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცების შემდეგ თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

9. ამიერკავკასიის საკონდიციო ბიურო, როგორც ცენტრალური ორგანო საბრეშუმო პროდუქტების ანალიზების წარმოების სფეროში, მეთოდიურ ხელმძღვანელობას უწევს საფაბრიკო ლაბორატორიების მუშაობას, აძლევს-რა მათ სათანადო ინსტრუქციებს და ამოწმებს-რა თავისი მომუშავეების მეშვეობით მათი მუშაობის სიავკარგეს.

---

125. 1934 წლის მოსავლის გერანიუმ-მწვანეულის დამზადების გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომომისართა საბჭო ადგენს:

1. მოსავლის ასაღებად ფაქტიურად შენარჩუნებული გერანიუმის ნარგავთა ფართობებისა და თითო ჰექტარზე უკვე გამორკვეული მოსავლიანობის რაოდენობის მიხედვით—დამტკიცებულ იქნეს გერანიუმ-მწვანეულის დამზადების წლიური გეგმა 10.270 ტონნას რაოდენობით, შემდეგი დანაწილებით რაიონებზე, სექტორებზე და დამზადების ვადებზე (ტონობით):

დამზადების რაიონები.	წლიური გეგმა			ა ქ ე დ ა ნ					
				მე-III კვარტალში (ივლისს-სექტემბერი)			მე-IV კვარტალში (ოქტომბერ-ნოემბერი)		
	საბჭოთა მეურნეობების სექტორი.	საკოლმეურნეო საგლეხო სექტორი	ს ულ	საბჭოთა მეურნეობების სექტორი	საკოლმეურნეო საგლეხო სექტორი	ს ულ	საბჭოთა მეურნეობების სექტორი	საკოლმეურნეო საგლეხო სექტორი	ს ულ
აფხაზეთი	6.480	2.000	8.480	3.420	1.160	4.580	3.060	840	3.900
აჭარისტანი	350	400	750	120	140	260	230	260	490
ხონის რაიონი	500	140	640	—	—	—	500	140	640
სენაკის „	400	—	400	100	—	100	300	—	300
სულ საქართველოს სსრ .	7.730	2.540	10.270	3.640	1.300	4.940	4.090	1.240	5.330

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს-ამა დადგენილებით დამტკიცებული, გერანიუმ-მწვანეულის დამზადების გეგმის საფუძველზე—მიაწოდონ რაიონებს დამზადების საგეგმო დავალებანი, უზრუნველჰყონ-რა, რომ სარაიონო ორგანიზაციებმა ეს დავალებანი ერთი დეკადის ვადაზე მიაწვდინონ თვითეულ საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე, და დაავალონ დამმზადებელ ორგანიზაციებს—დაამყარონ მუდმივი კონტროლი გერანიუმ-მწვანეულის დადგენილ ვადაზე მოჭრისა და დაუყოვნებლივ ჩაბარებისათვის მათ გადამმუშავებელ საწარმოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გერანიუმის დამზადება საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორებში დაევალოს:

ა) აფხაზეთის ასსრ-ში—აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიტის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს;

ბ) აჭარისტანის ასსრ-ში—აჭარისტანის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს;

გ) ხონის რაიონში—ხონის საბჭოთა მეურნეობას;

დ) სენაკის რაიონში—ხორშის საბჭოთა მეურნეობას.

4. კონტრაქტანტების მიერ გერანიუმ-მწვანეულის მთელი მოსავლის აღებისა და ჩაბარების სტიმულირების მიზნით დაწესებულ იქნეს—საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში შეპირობებული ჩაბარების ნორმის ზედმეტად კონტრაქტანტების მიერ ჩაბარებული გერანიუმ-მწვანეულისათვის პურის დამატებით მიცემა 2 კილოგრამის რაოდენობით თვითეულ ზედმეტად ჩაბარებულ ცენტნერ ნედლეულზე.

5. წინადადება მიეცეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—სასწრაფოდ წარუდგინოს სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტს იმ დამატებითი პურის ფონდების რაოდენობის ანგარიში, რაც საჭიროა გერანიუმ-მწვანეულის დასამზადებლად.

6. დაწესებულ იქნეს სადამზადებლო ფასი ფრანკო—დამმზადებელი ორგანიზაციის ქარხანა—27 მან. და 50 კაპ. ერთ ცენტნერ გერანიუმ-მწვანეულზე, რაც შეესაბამება სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილ საბაზისო კონდიციებს.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ა/კ. კავშირს“ — უზრუნველჰყონ საგეგმო სამრეწველო საქონლის თავის დროზე შემოზიდვა და იმ კონტრაქტანტ-ჩამბარებლებისათვის მიცემა, რომელთაც შეასრულეს ... ვიანთი საკონტრაქტაციო ვალდებულებანი.

8. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დამმზადებელ ორგანიზაციებს—უზრუნველჰყონ სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებისათვის ა/კსფსრ-ში და საქართველოს სსრ-ში გერანიუმ-მწვანეულის დაზადების მსვლელობის შესახები რაიონობითი და სექტორობითი სადეკადო-საფოსტო ანგარიშების წარდგენა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. აგვისტოს 3
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

126. მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ინდივიდუალური მეურნეობების მონაწილეობის შესახებ.

„სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ინდივიდუალური მეურნეობების მონაწილეობის წესის შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან კრ. 1934 წ. მე-40 № ი, მუხ. 321)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, იმ მზინით, რათა აღკვეთილ იქნეს შემთხვევები, რომ ინდივიდუალურმა მეურნეობებმა გვერდი არ აუხვიონ კანონით დადგენილ საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის გეგმებს და აგრეთვე არ დაარღვიონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების კანონი,—ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და ამავე კომიტეტის რწმუნებულებს რესპუბლიკებში—დააკისრონ იმ ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომლებისათვისაც თესვის გეგმები დადგენილი არ იყო, მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება სახელმწიფოსათვის მარცვლოვანი კულტურების ფაქტიური ნათესების მიხედვით და 50 პროცენტით გადიდებული, ჩაბარების საჰექტარო ნორმების კვალობაზე, რაც დადგენილია კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ (ე. ი. თესვის გეგმების მქონე ინდივიდუალური მეურნეობებისათვის არსებული ჩაბარების საჰექტარო ნორმების ნაცვლად, 5-10 პროცენტით გადიდებული ნორმები, რაც დადგენილია იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ).

2. „1933 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეცნიეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილების მე-2 მუხლისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14-15 №-ი, მუხ. 136) და „1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1934 წ. იანვრის 19-ის დადგენილების მე-3 მუხლის (ა/კსფსრ კან. კრ. 1934 წ. 1—2 №-ი, მუხ. 4) შესაცვლელად, რომელი მუხლებითაც გათვალისწინებულია, რომ ინდივიდუალური მეურნეობების იმ ფართობებზე, რაც დათესილია მათთვის დამტკიცებული თესვის გეგმების ზედმეტად, არა ვრცელდება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება,—დაწესებულ იქნეს, რომ ინდივიდუალური მეურნეობანი—მათთვის დამტკიცებული 1933 წლის საშემოდგომო თესვის და 1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმების ზედმეტად დათესილი მარცვლეული კულტურების ნათესებიდან აბარებენ სახელმწიფოს მარცვლეულს სავალდებულო წესით საერთოდ დადგენილი ნორმების ნახევრი რაოდენობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 აგვისტოს 10.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

127. 1934 წელს განმეორებით საშემოდგომოდ ნაკვები აბრეშუმის ჭიის პარკის დამზადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ, რესპუბლიკანური აბრეშუმტრესტებისა და საადგილმამულო ორგანოების დემობილიზებული განწყობილობის გამო, მიღებულ არ იქნა თავის დროზე ღონისძიებანი აბრეშუმის ჭიის თესლის დასამზადებლად ჭიის განმეორებითი კვების მოწყობისათვის, თუმცა ამ კვების გეგმა თავის დროზე იქნა მიწოდებული და მეაბრეშუმენი დაბეჯითებით მოითხოვდნენ აბრეშუმის ჭიის თესლს გაზაფხულის კამპანიის გარღვევათა დასაფარავად.

ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ მიმდინარე წელს განმტკიცებულ არ იქნა განმეორებითი კვების წარმატებანი—მაშინ, როდესაც წარსული წლის ცნობებით მტკიცდება, რომ ა/კსფსრ-ში, ნორმალურ პირობებს შორის, განმეორებითი კვება იძლევა აბრეშუმის ჭიის თესლის ერთ კოლოფზე ისეთი გამოსავლიანობისა და თვისების პროდუქციას, რაც უთანასწორდება საგაზაფხულო ნაკვებს (სიმაგრე—3,8—4,5, ელასტიობა—16—18% და რანდემანი საქარხნო და მზადების თესლისა—3,6, ხოლო შერეული „შინაურ-კუსტარული" თესლისა— 5,6).

იღებს რა მხედველობაში, რომ სრული შესაძლებლობა არსებობს საშემოდგომო განმეორეაითი გამოკვების ჩასატარებლად,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აბრეშუმტრესტების დირექტორებმა: საქართველოს სსრ-სა ამხ. ჟღენტმა, სომხეთის სსრ-სა—ამხ. სარქისიანმა და აზერბაიჯანის სსრ-სა—ამხ. მეხთიევმა უნდა უზრუნველჰყონ აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადება საშემოდგომო გამოკვების ჩასატარებლად 4.570 კოლოფის რაოდენობით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—1.000 კოლოფი, სომხეთის სსრ-ში—70, კოლოფი და საქართველოს სსრ-ში—3.500 კოლოფი.

2. ა/კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტმა უნდა უზრუნველჰყოს ოპერატიული ხელმძღვანელობა რესპუბლიკანური საჭისთესლო ქარხნების მიერ აბრეშუმის ჭიის თესლის წარმოებისა და დამუშავებისათვის საშემოდგომო გამოკვების მიზნით.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა უზრუნველჰყონ საშემოდგომო ნაკვები ჭიის პარკის დამზადების ჩატარება თვითეულ რაიონში არსებული აბრეშუმის ჭიის თესლისა და საკვები ფონდის შესაბამისად.

4. განმეორებითი კვების ორგანიზაციისათვის საჭირო მუშაობაში საუკეთესო მეაბრეშუმე-კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა ფართოდ ჩამბის მიზნით რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და აბრეშუმტრესტებმა უნდა მოაწყონ პარკის პროდუქციის გამო ფენა-კონკრესები—მეაბრეშუმეობის დარგის იმ საუკეთესო კოლმეურნე-მომუშავეთა დაპრემიებით, რომელნიც მოიცემიან სამაგალითო მაჩვენებლებს მოსავლიანობის გადიდებასა და პარკის ჩაბარებაში, აბრეშუმის ჭიის თესლის და პარკის დამზადების კამ-

ანიის ჩატარებაში და აბრეშუმის ჭიის თესლის წარმოებაში, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილი სახსარი.

5. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა დაავალონ აბრეშუმტრესტებს—იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა ლიკვიდირებულ იქნეს ტრესტების დავხლიანება პარკის ჩამბარებლებისადმი პარკის დამზადების მიმდინარე კამპანიის პერიოდში—ისეთი ვარაუდით, რომ შემოზიდულ და პარკის ჩამბარებლებისათვის დარიგებულ იქნეს ყველა სამრეწველო და სასურსათო საქოხელი და აბრეშუმის ქსოვილები, და, აგრეთვე, რომ მთლად გასწორებულ იქნეს ყოველგვარი ანგარიში მათთან არა უგვიანეს 1934 წ. აგვისტოს 15-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 11.
ტფილისი.

---

128. 1934. წელს სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების შტატებისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ვინაიდან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 10-ის დადგენილებით ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებებისათვის დაკისრებული შემცირება მათი ქვემდებარე სამეურნეო ორგანიზაციების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯებისა ხორციელდება არადამაკმაყოფილებლად და ამ სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს აქამდე არ წარმოუდგენიათ მათ მიერ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის პერიოდისათვის ჩატარებული შემცირების საანგარიშო მასალა,—დაევალოს მათ—წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1934 წ. აგვისტოს 25-სა საანგარიშო მოხსენება (ხოლო ასლი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს).

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შვდგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიაწოდონ ვისაც ჯერ არს ცნობები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 10-ის დადგენილების მე-3 მუხლით მათთვის დაკისრებული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების შემცირების შესახები დირექტივის აღსრულების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. იმ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომლითაც ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაეკისრა კონტროლი გაუწოს საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახები დირექტივის აღსრულებას,—წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს და დაწესებულებას, აგრეთვე კოოპერატიულ ცენტრს—წარუდგინოს ყოველკვარტალურად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს საანგარიშო ცნობები მის ქვემდებარე სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ფაქტიურად გაწეული საადმინისტრაციო სამმართველო ხარჯების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 15.
ტფილისი.

---

129. 1934 წლის მოსავლის „კუდრიაშ"-სელის თესლის დამზადების გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ-ში „კუდრიაშ"-სელის თესლის დამზადების გეგმა 500 ტონნას რაოდენობით; აქედან;

აზერბაიჯანის სსრ-ში	150 ტონნა;
სომხეთის სსრ	300 „
საქართველოს სსრ	50 „
სულ	500 ტონნა.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს;

ა) დაჰყონ 2 დღის ვადაზე „კუდრიაშ"-სელის თესლის დამზადების რესპუბლიკანური გეგმა ცალკეულ რაიონებზე, სექტორებზე და თვეებზე;

ბ) უზრუნველჰყონ ერთი კვირის ვადაზე, რათა სარაიონო ორგანიზაციებმა მიაწვდინონ „კუდრიაშ"-სელის თესლის დამზადების სარაიონო გეგმები კოლექტიურ მეურნეობებამდე, ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებამდე და მტკიცე დავალების წესით კულაკურ მეურნეობებამდე.

3. წინადადება მიეცეს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ რესპუბლიკების სკს-თან—უზრუნველჰყონ, რათა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საფონდო კომიტეტის რწმუნებულებმა რესპუბლიკების სკს-თან და რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებმა შემოზიდონ საჭირო რაოდენობის სამრეწველო საქონელი „კუდრიაშ"-სელის თესლის დამზადების სტიმულირებისათვის.

4. „კუდრიაშ"-სელის თესლის დამზადების გეგმის აღსრულების ზღვრულ ვადად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ყველა რესპუბლიკისათვის დადგენილ იქნეს 1935 წ. იანვრის 1-ლი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 15.
ტფილისი.

---

130. ა/კსფსრ-ში საბიბლიოთეკო აღწერის ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „სსრკ-ში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. მარტის 27 ის დადგენილების საფუძველზე (სსრკ კან. კრ 1934 წ. მე·18 №-ი, მუხ. 141)—დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატარონ 1934 წლის განმავლობაში ყველა არსებული ბიბლიოთეკის აღწერა და შემდგომში დააწესონ მათი პერიოდული ანგარიშგება.

2. აღწერის ძირითად ამოცანებად დადგენილ იქნეს: ა/კსფსრ-ში მთელი საბიბლიოთეკო ქსელის გამოვლინება (წითელი არმიისა და ფლოტის ბიბლიოთეკების გამოკლებით), მათ წიგნთა ფონდები და ბიბლიოთეკების მომსახურე კადრები.

3. პასუხისმგებლობა საერთოდ აღწერის ჩატარებისათვის და ხელმძღვანელობის გაწევა აღწერის ჩატარებაში მონაწილე უწყებათა მუშაობისათვის დაეკისროს ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს.

4. დაევალოს საბიბლიოთეკო ქსელის მქონე ყველა უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას—ჩაატაროს დაუყონებლივ ყველა საჭირო ღონისძიება, რაც-კი სავსებით უზრუნველჰყოფს მისი ქსელის ბიბლიოთეკების სრულ მომზადებას აღწერისათვის.

5. ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველომ, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ და რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ აღწერის ჩატარება საჭირო სახსარით და კადრებით.

6. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის სააღწერო კომისია ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შემდეგ ამხანაგთა შედგენილობით: პ ე ჩ ე რ ს კ ი (ა/კ. სახ.-სამეურნეო აღრ. სამ-ლო)—თავმჯდომარე, მ ო ლ ჩ ა ნ ო ვ ი (ა/კ. სახ.-სამ. აღრ. სამ-ლო)—თავმჯდომარის მოადგილე, გ ე გ ე ნ ა ვ ა (საქ. სსრ განათლ. სახ. კ-ტი), ა ტ ო ე ვ ი (ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭო) და ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (ა/კ. სახ-სამ. აღრ. სამ-ლო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ნება დაერთვას ამიერკავკასიის სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მოიწვიოს აგვისტოს განმავლობაში საამიერკავკასიო თათბირი ბიბლიოთეკების საკითხებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. ფუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 18.
ტფილისი.

---

131. 1934 წელს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საშემოდგომო თესვის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ-ში საშემოდგომო თესვის შემდეგი გეგმა (ათასი ჰექტარობით):

რესპუბლიკები	ს უ ლ	ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობანი	აქედან მიწათმოქმ. სახ. კ-ტის საბჭოთა მეურნეობანი	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალ. მეურნეობანი
აზერბაიჯანის სსრ					
საშემ. ხორბალი .	435.62	23.62	7.8	235.0	117.0
საშემ. ქერი . . .	211.65	12.15	4.5	90.0	109.5
სულ საშემ. მარცვ.	647.27	35.77	12.3	325.0	285.5
სომხეთის სსრ					
საშემ. ხორბალი .	91.52	2.52	0.62	50.4	38.6
საშემ. ქერი . . .	6.78	0.08	—	1.4	5.3
საშემ. ჭვავი . . .	3.36	0.06	—	1.9	1.4
სულ. საშემ. მარცვ.	101.66	2.66	0 62	53.7	45.3
საქართველოს სსრ					
საშემ. ხორბალი .	240.09	11.29	9.5	80.1	148.7
საშემ. ქერი . . .	27 03	2.63	2.0	5.5	18.9
საშემ. ჭვავი . . .	1.49	0.39	—	0.7	0.4
სულ საშემ. მარცვ-	268.61	14.31	11.5	86.3	168.0
ა/კსფსრ					
საშემ. ხორბალი .	767.23	37.43	17.92	365.5	264.3
საშემ. ქერი . . .	245.46	14.86	6.5	96.9	133.7
საშემ. ჭვავი . .	4.85	0.45	—	2.6	1.8
ს უ ლ	1.017.54	52.74	24.42	465.0	499.8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა მიაწვდინონ აგვისტოს 25-მდე გეგმები და ღონისძიებანი (თესლის გაწმენდა და დაწამლვა, მწკრივადი თესვა, მძრალად ხვნა და სხვა.) რაიონებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე.

2. განისაზღვროს შემდეგი გეგმა სათესლე ფონდების დაგროვებისა კოლექტიურ მეურნეობებში და სათესლე სადაზღვეო ფონდების დაგროვებისა კოლექტური მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში (უბრინჯოდ აზერბაიჯანის სსრ-ში და უსიმინდოდ საქართველოს სსრ-ში):

ათას ცენტნერობით.

რესპუბლიკები	სათესლე ფონდები კოლექტიურ მეურნეობებში.		სადაზღვეო ფონდები კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურებისა.
	საშემოდგომო კულტურებისა	საგაზაფხულო კულტურებისა	
აზერბაიჯანის სსრ	455.5	57.5	90.1
სომხეთის სსრ	80.6	159.8	64.8
საქართველოს სსრ	143.7	89.8	98.3
ა/კსფსრ	679.8	307.1	253.2

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა:

ა) დაამთავრონ არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 15-სა სათესლე და სადაზღვეო ფონდების დაგროვება სახელმწიფოს წინაშე მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებისა, სათესლე სესხის დაბრუნებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურასასყიდლის გასტუმრების შემდეგ;

ბ) ნებადართონ იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც შეასრულებს მათთვის დადგენილი, მარცვლეულის ჩაბარების თვიური დავალებანი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობისთვის ნატურასასყიდლის გადახდის ვალდებულებანი, დაიტოვონ უკვე პურეულის ჩაბარების პროცესშივე, სათესლე ფონდების შესაქმნელად, საუკეთესო მარცვლეული 10 პროცენტის რაოდენობით ნალეწი მარცვლეულიდან;

გ) აკრძალონ სათესლე მასალის იმ სათავსებში ჩაყრა, სადაც ინახება სასურსათო მარცვლეული; დაამთავრონ ა/წ. აგვისტოს 30-მდე სათესლე და სადაზღვეო ფონდების ჩასაყრელი სათავსების მთლიანი შემოწმება და რემონტისა, დეზინსექციისა, სახანძრო ღონისძიებათა და დაცვის ორგანიზაციის ჩატარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეადგინონ ორი დეკადის ვადაზე ბრინჯის (აზერბაიჯანის სსრ-ში) და სიმინდის (საქართველოს სსრ-ში) სათესლე და სადაზღვეო ფონდების დაგროვების გეგმა.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიათა საბჭოებმა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი სათესი მასალის განმზადებისათვის:

ა) თესლის 100 პროცენტით დახარისხება და გაწმენდა;

უნდა დაავალონ სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა დირექტორებს არ დააგროვონ ისეთი თესლი, რაც განაგვიანებულია დადგენილი კონდიციების უმეტესად; უზრუნველჰყონ ტრიერების მუშაობა მთელი დღეღამის განმავლობაში და დააწესონ გამომუშავების სავალდებულო სადღეღამო და სასეზონო ნორმა;

ბ) მარცვლეულის 100 პროცენტით დაწამლვა ყველა იმ რაიონში, სადაც გამოკვლევით აღმოჩენილია გუდაფშუტით დაავადება; ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს ღონისძიებანი თავის დროზე დანაკლი შხამეული მასალის შემოზიდვისათვის და ამ მასალის აღრიცხვისა და რესპუბლიკებზე განაწილებისათვის;

გ) სათესი მასალის სავალდებულო სალაბორატორიო შემოწმება აღმოცენება-უნარიანობისა და განაგვიანების გამოსარკვევად ყველა კოლექტიურ მეურნეობაში და ამორჩევითი შემოწმება—ინდივიდუალურ მეურნეობებში; უკეთუ აღმოცენება-უნარიანობა დადგენილ კონდიციებზე ნაკლებია (ხოლო არა ნაკლებ 80 პროცენტისა), სათანადოდ გადიდებულ უნდა იქნეს განთესვის ნორმები; ხოლო, უკეთუ აღმოცენება-უნარიანობა 80 პროოენტზე ნაკლებია უნდა მოხდეს აუცილებლად უკეთეს მარცვლეულზე გაცვლა თვით კოლექტიური მეურნეობების ან „ზაგოტზერნოს“ რეზერვებიდან; „ზაგოტზერნომ“ უნდა უზრუნველჰყოს გაცვლის ოპერაციების დაუცადებელი ჩატარება;

დ) სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებთან სათესლე საკონტროლო ლაბორატორიების ქსელის ორგანიზაციის თავის დროზე დამთავრება და ამ ლაბორატორიების უზრუნველყოფა კადრებით და საჭირო სახსარით გაწყობისა და შენახვისათვის.

4. საშემოდგომო პურეულის მწკრივადი თესვა ჩატარებულ იქნეს რესპუბლიკებში შემდეგ ფართობებზე (ათასი ჰექტარობით):

რესპუბლიკები	ს უ ლ	აქედან კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.	
		ს უ ლ	აქედან ტრაქტორებით
აზერბაიჯანის სსრ . . .	100.0	80.0	23.9
სომხეთის სსრ	15.0	12.0	3.2
საქართველოს სსრ . . .	45.1	30.0	17.0
ა/კსფსრ	160.1	122.0	44.1

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა მიიღონ თავიანთ თავზე განსაკუთრებული კონტროლის გაწევა საშემოდგომო კულტურების მწკრივადი თესვის ჩატარების ხარისხისათვის.

5. მძრალად ხვნისთვის ნაკელის შეტანის გეგმა განისაზღვროს ა/კსფსრ-ში 302 ათასი ტონათი; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში — 200 ათასი ტონა, სომხეთის სსრ-ში—20 ათასი ტონნა და საქართველოს სსრ-ში 82 ათასი ტონნა.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სასალხო კომისარიატებმა უნდა მოაწყონ კოლექტიური მეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში ნაკელის წესიერი შენახვა, დაამყარონ მისი შეტანისა, მინდვრად გაფანტვისა და ჩახვნის ვადები; ჩატარებულ იქნეს ეზოებისა, სანაგვე ორმოებისა, სარაიებისა და სხვა მისთ. გაწმენდის მასსური კამპანია შეგროვილი ნაგავისა და ნაყარისაგან გაკეთებულ იქნეს გაზაფხულზე კომპოსტური გროვები და აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს 1935 წლის გაზაფხულისათვის ნაკელის განმზადება.

6. საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ჯიშიანი თესლით თესვის გეგმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით დაშტკიცებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით (ათას ჰექტარობით):

რესპუბლიკები	ს/ ნ ა	აქედან მეთესლეობის ორგანიზაციების ხაზით		
		სახელექციო სადგურები	მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობანი	მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობანი
აზერბაიჯანის სსრ				
ხორბალი	52.4	0.12	0.8	7.8
ქერი	4.7	0.05	0.2	2.5
შვრია	0.72	—	—	—
სომხეთის სსრ				
ხორბალი	8.4	—	0.1	1.2
საქართველოს სსრ				
ხორბალი	27.6	0.06	—	3.0

აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უნდა განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე ჯიშიანი თესლით თესვის გეგმა ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობისათვის.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყონ ჯიშიანი ნათესები ჯიშიანი სათესი მასალით, რომლის ჯიშიანობაც დოკუმენტირებულია, და თავის დროზე გარდაგზავნონ თესლი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საშემოდგომო თესვის დამთავრების შემდეგი ვადები: აზერბაიჯანის სსრ-ში—დაბლობ (საბამბე) რაიონებში—ნოემბრის 10—15, მთიან რაიონებში—ოქტომბრის 20 და სხვა რაიონებში (შემახა, ისმაილი, ხაჩმაზი, გილი და სხვ.)—ნოემბრის 1-5; სომხეთის სსრ-ში—დაბლობ და მთისძირა რაიონებში—ნოემბრის 5—10, მთიან რაიონებში—ოქტომბრის 5—10; საქართველოს სსრ-ში—დაბლობ რაიონებში (ბორჩალო, ყარაია, ლუქსემბურგი, კახეთი და სხვ.)—ნოემბრის 5 და სხვა რაიონებში—ოქტომბის 20—25.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საადგილმამულო ორგანიზაციებმა და სამანქანო სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა იზმარონ ყველა საჭირო ღონისძიება თესვის დადგენილ ვადაზე შესრულებისათვის.

8. საქონლის საკვებ ბალახთა თესვა 1934 წელს განისაზღვროს: (ათას ჰექტ.):

ბ ა ლ ა ხ ე ბ ი	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
მრავალწლოვანი	2.8	—	1.0	3.8
ერთწლოვანი	5.8	0.1	0.8	6.7
ს უ ლ . . .	8.6	0.1	1.8	10.5

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ საქონლის საკვებ ბალახთა თესვა სათესი მასალით და თავის დროზე მოახდინონ იონჯის თესლის ანალიზი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არის იგი განაგვიანებული კუსკუტით, და მოაწყონ მისი გაწმენდა.

9. 1935 წლის საგაზაფხულო კულტურებისათვის მძრალად ხვნა ჩატარებულ იქნეს:

ათას ჰექტარობით

რესპუბლიკები	მიწათმოქმ. სახალხო კ-ტის სისტ. საბჭ. მეურნ.	კოლექტ. მეურნეობანი	ინდივიდუალ. მეურნეობანი	ს უ ლ	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
აზერბაიჯანის სსრ .	9.0	132.0	10.0	151.0	აქედან 31.000 ჰექტ. ნასვენი საგაზაფხულო კულტურებისათვის.
სომხეთის სსრ . . .	0.8	45.0	31.0	76.8	
საქართველოს სსრ .	8.7	51.0	39.0	98.7	
ა/კსფსრ.	18.5	228.0	80.0	326.5	

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ერთი დეკადის ვადაზე უნდა მიაწვდინონ მძრალად ხვნის გეგმები რაიონებამდე. განისაზღვროს მძრალად ხვნის დამთავრების შემდეგი ვადები: სოხუმის სსრ ისა და საქართველოს სსრ-ის მთიან რაიონებში—სექტემბრის 1, მთისძირა რაიონებში—ნოემბრის 15 და დაბლობ რაიონებში—დეკემბრის 1; აზერბაიჯანის სსრ-ის მთიან რაიონებში—ნოემბრის 1, მთისძირა რაიონებში—დეკემბრის 1 და დაბლობ რაიონებში—იანვრის 1.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა:

ა) მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის რემონტი ისეთი ვარაუდით, რომ ეს დამთავრებულ იქნეს თესვის დაწყების წინ, და აგრეთვე იზრუნონ ლონისძიებანი გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის შემოზიდვისათვის; დაამთავრონ არა უგვიანეს აგვისტოს 30-სა დანაკლი სათადარიგო ნაწილებისა და მასალის შემოზიდვა და რეალიზაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ აგვისტოს განმავლობაში მუშა-საქონლის დასვენება და კარგად ჭმევა საშემოდგომო თესვის სამუშაოების დაწყების წინ;

გ) გსდასინჯონ ერთი დეკადის ვადაზე თვითოეული სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საწარმოო დავალებანი იმ მხრით, რათა სატრაქტორო-პარკი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი სავსებით იყოს დატვირთული საშემოდგომო მუშაობის მავლენლობის დროს (მოხვნა, დათესვა, მძრალად ხვნა); ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, ერთი დეკადის ვადაზე, საწარმოო დავალებათა შესაბამისად, უნდა შეამოწმოს, რამდენად უზრუნველყოფილ არიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურები სათბობი მასალით, და იზრუნოს საჭირო ლონისძიება ამ მასალის შემოზიდვისა, განაწილებისა და ეკონომიურად ხარჯვისათვის;

დ) შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე, რა რაიონებში არ არსებობს საშემოდგომო კულტურების შესახები აგროწესები, და დააეალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა გამგეებს—შეიმუშაონ და გამოსცენ ეს აგროწესები; მოაგვარონ სასოფლო-საბჭოებთან არსებული სათვისებო ინსპექციის მუშაობა, დააკისრონ-რა სასოფლო-საბჭოებს პასუხისმგებლობა კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სასოფლო-საბჭოს ტერიტორიაზე აგროწესების შესრულებისათვის;

ეს დააწესონ 1934 წლის შემოდგომაზე კოლექტიურ მეურნეობებში თესლბრუნვის შემოღების დავალება და უზრუნველჰყონ, რომ კოლექტიურ მეურნეობებში საშემოდგომო კულტურების თესვა სწარმოებდეს მიღებული თესლბრუნვის გეგმების თანახმად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 20.
ტფილისი.

---

132. 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის აღებისა და დამზადების შესახებ.

1934 წლის ბამბის მოსავლის აღებისა და ბამბის დამზადების გეგმის აღსრულების წარმატებით ჩატარებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაამტკიცონ და მოაწოდონ არა უგვიანეს აგვისტოს 25-სა რაიონებს და საბჭოთა მეურნეობებს ნედლი ბამბის მოსავლის აღების თვიური გეგმები; დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—შეადგინონ მოსავლის აღების საკალენდრო გეგმები და არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა მიაწვდინონ ეს გეგმები კოლექტიურ მეურნეობებამდე, საკოლმეურნეო ბრიგადებამდე, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებამდე და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეობებამდე; აგრეთვე იმავე ვადაზე ჩააბარონ კულაკურ მეურნეობებს ნედლი ბამბის მოსავლის აღებისა და ჩაბარების მტკიცე დავალებანი;

ბ) დაამტკიცონ აგვისტოს 25-თვის თვითეული საბჭოთა მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის ბამბის მოსავლის მექანიზირებული აღების გეგმა არსებული, ბამბის მოსავლის ამღები მანქანების მიხედვით; ღაამთავრონ სექტემბრის 1-თვის ბამბის მოსავლის ამღები ყველა არსებული მანქანის რემონტი და საკუთარი განამზადონ ეს მანქანები მოსავლის აღებისათვის, უზრუნველჰყონ-რა ესევე მანქანები საუკეთესო დამკვრელ-კოლმეურნეებით და საბჭოთა მეურნეობების მუშებით, რომელნიც წინასწარ მომზადებულ უნდა იქნენ ბამბის მოსავლის ამღებ მანქანებზე მუშაობისათვის; რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა განსაკუთრებული მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ ბამბის მოსავლის მექანიზირებული აღების მომზადებას და საამისო დავალებათა შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა უფროსებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს:

1) განამტკიცონ რგოლეულები კოლმეურნეობათა ბრიგადებში და მიამაგრონ მათზე მუდმივი ნაკვეთები ბამბის მოსავლის აღებამდე, შეუნარჩუნონ-რა, შეძლებისამებრ, რგოლეულებს ის ნაკვეთები, რომლებსაც ისინი ამუშავებდნენ;

2) დააწესონ გამომუშავების მტკიცე ნორმები მოსავლის ცალცალკე აღებაზე და დაადიფერენცირონ ეს ნორმები თვითეული ბრიგადისათვის ბამბის ნათესის მდგომარეობის მიხედვით ბრიგადაზე მიმაგრებულ ნაკვეთში; ბამბის მოსავლის აღების სამუშაოები ჩატარებულ იქნეს ინდივიდუალური ნარდობის საფუძველზე; ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღირიცხოს ყოველდღე თვითეული კოლმეურნის მიერ მოკრეფილი ბამბა;

3) მოაწესრიგონ სექტემბრის 1-თვის კოლექტიურ მეურნეობებში შრომადღეების ჩაწერა—ისე, რომ მოსავლის აღების დაწყებამდე ყველა კოლექტიურ მეურნეობაში შეჯამებულ და შრომის წიგნაკებში ჩაწერილ იქნეს ყველა შრომადღე, რაც გამოუმუშავებია თვითეულ კოლმეურნეს თესვისა და დამუშავების დროს.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ნედლი ბამბის თვისებისადმი და აფრთხილებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომ შეუწყნარებელია მოუწეველი და ნოტიო ნედლი ბამბის მოკრება მხოლოდ იმ მიზნით, რათა გეგმა რაოდენობის მხრით წარმატებით იქნეს შესრულებული; შემოღებულ იქნეს, როგორც სავალდებულო წესი, ნოტიო ნედლეულის წინასწარი გაშრობა კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ; არ შეიძლება სხვადასხვა დროს მოკრეფილი ნედლი ბამბის ერთმანეთში შერევა, განსაკუთრებით ყინვებამდე და ყინვის შემდეგ მოკრეფილისა; არ შეიძლება აგრეთვე საღი ნედლი ბამბისა და დაავადებული და მავნებლებით დაზიანებული ბამბის ერთმანეთში შერყევა.

მოწყობილ იქნეს მოკრეფილი ნედლი ბამბის წინასწარი დახარისხება მინდორშივე დამზადების სტანდარტების მიხედვით, რისთვისაც მოსავლის აღების დაწყებამდე ჩატარებულ უნდა იქნეს ბრიგადირების გაცნობა ნედლი ბამბის სტანდარტებთან და უზრუნველყოფილ შემდგომში ინსტრუქტაჟი და კონტროლი აგროპერსონალის მხრით ნედლეულის წესიერად დახარისხებისათვის მინდორშივე. დაევალოს კოლექტიური მეურნეობების გამგეობათ—დაუკლონ კოლმეურნეებს გამომუშავებული შრომა-დღეები არაკეთილსინდისიანი მოკრეფისათვის (არასრულად მოკრეფა, შერევა, გაჭუჭყიანება და სხვ.). ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგური ნედლი ბამბის სასტანდარტო ეტალონებით.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, აგროწესების დამატებად, უნდა მიაწოდონ არა უგვიანეს აგვისტოს 25-სა სარაიონო საადგილმამულო განყო-

ფილებებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს სპეციალური ინსტრუქცია ბამბის მოსავლის აღების წესების შესახებ.

3. ნედლი ბამბის დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით წინადადება მიეცეს სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს— მოაწყონ მოკრეფილი ნედლი ბამბის ყოველდღიური სავალდებულო მიზიდვა შემსყიდველ პუნქტებში უშუალოდ მინდვრიდანვე და აკრძალონ ნედლი ბამბის განაგვიანება და გაჭუჭყიანება მოკრეფის და გადაზიდვის დროს. ჩაბმულ იქნენ კომკავშირული ორგანიზაციები, პიონერები და მოწაფეები მინდვრად და გადაზიდვის დროს ნედლი ბამბის დანაკარგებთან ბრძოლაში; შემოღებულ იქნეს პრაქტიკად დაცვივნული ბამბის აკრეფა. მოეწყოს ყველა კოლექტიურ მეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სპეციალური დაცვა საქონლის მიშვებით წახდენისა და გატაცებისაგან. დაევალოს პროკურატურის ორგანოებს—უზრუნველჰყონ ნედლი ბამბის წახდენასა და გატაცებაში დამნაშავე პირთა საქმეების დაუყოვნებელი განხილვა.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს და საბამბე რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაამთავრონ არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა გზების და ხიდების რემონტი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მინდვრებიდან შემსყიდველ პუნქტებში და ბამბის ქარხნებში ნედლი ბამბის დაუცადებელი გადაზიდვა.

5. კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაძალის უფრო უკეთესად გამოყენების და ბამბის მოსავლის აღებაში ქალთა მაქსიმალურად ჩაბმის მიზნით მოეწყოს სამინდვრე ბანაკებისა და საბავშვო ბაგაების მუშაობა და მოგვარებულ იქნეს კოლმეურნეთა კულტურული მომსახურეობა და საზოგადოებრივი კვება თვით კოლმეურნეთა პროდუქტებიდან.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებმა უნდა გამოჰკონ სათანადო ფონდები საზოგადოებრივი კვებისათვის (ჩაი, შაქარი და სხვ.).

6. აღსანიშნავია-რა ახსნა-განმარტებითი სუსტი მუშაობა მუშა-ძალის მოგროვების რაიონებში საბამბე საბჭოთა მეურნეობებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მუშა-ძალის დიდი დენადობა,—დაევალოს მუშა-ძალის მოგროვების რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ასტრახან-ბაზარის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მაგალითის მიხედვით, უზრუნველჰყონ საბჭოთა მეურნეობებში წარგზავნილი მუშა-ძალის წესიერი მოგროვება და მათთან წინასწარი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

7. ვინაიდან ბამბის ნათესების სააპრობაციო მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს:

ა) რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა დაამთავრონ ბამბის ნათესების აპრობაცია სექტემბრის 10-თვის და ამ მუშაობის შედეგები დაუყოვნებლივ გადასცენ ბამბის ქარხნებს, უზრუნველჰყონ-რა სათესი ნედლეულის მოსავლის აღება აპრობაციის შედეგების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებმა (ბამბადამზადებელი ტრესტები), ბამბის ნათესების აპრობაციის შეუეგების საფუძველზე, უნდა უზრუნველჰყონ სათესი ნედლეულის ცალკეულად მიღება, შენახვა და გაწმენდა ჯიშებისა და ხარისხების მიხედვით.

8. ბამბის წმინდა ხარისხოვნების დაცვის მიზნით წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს საბჭოთა მეურნეობებში სათესი ნედლეულის გაწმენდა, დაამთავროს რა ჯინჰაუზების გაწყობა არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა; იმავე ვადაზე მოამარაგოს საბჭოთა მეურნეობანი საჭირო რაოდენობის ტარა-ტომრებით.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველჰყოს 915 №-ის ხარისხის სათესი თესლის დამზადება მაქსიმალური რაოდენობით—ისეთი ვარაუდით, რომ მომარაგებულ იქნენ არა მარტო საქართველოს სსრ რაიონები, არამედ აგრეთვე ეს თესლი გადაიგზავნოს აზერბაიჯანშიაც;

ბ) 915 №-ის ხარისხის ბამბის წმინდა-ხარისხოვნების უზრუნველსაყოფად ყარაიას რაიონის ნედლეულის გაწმენდა ჩაატაროს ყარაიას ბამბის ქარხანაში.

10. დაწესებულ იქნეს, რომ პასუხისმგებლობას კოლექტიურ მეურნეობებში სათესლე ფრაქციების დამზადებისათვის—დაწყებული ფართობების ამორჩევიდან სამინდვრე აპრობაციისა და სანიადაგო კონტროლის ცნობების მიხედვით, ვიდრე ნედლეულის დამმზადებელ პუნქტებში ან ქარხნებში ჩაბარებამდე—ეწევიან რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები. პასუხისმგებლობა სათესლე ფრაქციების დამზადებისათვის ამ ფრაქციების ტრიალის ყველა ეტაპზე საბჭოთა მეურნეობების ფარგლებში ეკისრება მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს.

მებამბეობის ტრესტები, ქარხნების დირექტორები და შემსყიდველი პუნქტების გამგენი ეწევიან პასუხისმგებლობას სათესლე მასალის დამზადებისათვის სათესლე ნედლეულის მიღების მომენტიდან თესლის კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გადაცემამდე.

11. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს ბამბის ქარხნების რემონტის არადამაკმაყოფილებელ მსვლელობას აზერბაიჯანის სსრ-ში (შესრულებულია აგვისტოს 1-თვის 40%), განსაკუთრებით ევლახისა, საბარ-აბადისა და ალი-ბაირამლის ბამბის ქარხნებში და ავალებს აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და „აზბამბადამზადებას"—იხმარონ ყველა ღონისძიება ბამბის ქარხნების რემონტის დამთავრებისათვის და დადგენილ ვადაზე ამუშავების უზრუნველყოფისათვის (ამერიკული ბამბის გადამუშავება—სექტემბრის 1-თვის და ეგვიპტური ბამბისა—სექტემბრის 10-თვის).

12. დაევალოს აზერბაიჯანის მებამბეობის ტრესტს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—მიაღწიონ გარდატეხას შემსყიდველი პუნქტების ჩარდახების და საწყობების მშენებლობის მსვლელობაში და სექტემბრის 1-თვის განამზადონ საკმარებით შემსყიდველი პუნქტები ნედლი ბამბის მიღებისათვის; ამასთან ერთად, სარაიონო აღმასრულე-

ბელმა კომიტეტებმა უნდა მიუჩინონ დამმზადებელ პუნქტებს თავისუფალი სასაწყობო სათავსები ნედლი ბამბისა და მარცვლეულის შესანახად. ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა ა/კსფსრ სკს-თან უნდა შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე დამზადებული პუნქტების მზადყოფნა ნედლი ბამბის მიღებისათვის (სასწვრების და გირებისა, ვარგისი ტარას, სპეცდაფარვის საგნებისა და სხვა მისთ. ქონა). ცალკე უნდა იქნეს შემოწმებული სახანძრო გაწყობილობის მდგომარეობა ქარხნებსა და შემსყიდველ პუნქტებში.

13. მიენდოს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს აღძრას სასწრაფოდ სსრკ-ის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე ამიერკავკასიის მებამბეობის ტრესტებისათვის გამოყოფილი სატარო მასალისა, რავენდუკისა და ბრეზენტების დაუყოვნებლად წარმოგზავნის საკითხი.

14. წინადადება მიეცეს „ა/კ. კავშირს" და რესპუბლიკანურ სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირებს—უზრუნველჰყონ 1934 წ. სექტემბრის 1-მდე მე-III კვარტალისათვის გამოყოფილი სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდების (კერძოდ—შაქრისა, ჩაისა, სამეურნეო საპნისა და კეროსინის) შემოზიდვა და აუცილებლად სასოფლო სამომხმარებლო საზოგადობებამდე მიწვდენა ბამბის ჩამბარებლების დასასაქონლებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ვ. პუდრევი.**

1934 წ. აგვისტოს 20.
ტფილისი.

---

133. 1934 წელს ადგილობრივი საშენი მასალის ფასების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1934 წლისთვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ზღვრული საგასაცემო ფასები ფრანკო—ქარხანა და კარიერი სრული ღირებულობის მქონე პროდუქციისა, რასაც ამუშავებენ სახელმწიფო მრეწველობის საწარმონი და უწყებათა და საშენებელთა ის დამხმარე საწარმონი, რომელნიც ამზადებენ აუგილობრივ საშენ მასალას:

რესპუბლიკები	საკედლე მასალა				
	აგური 1000 ცალი	ცალობით ქვა „გუშა" 1.000 ცალი	ცალობითი მექანიზ. დამუშ. ქვა 1.000 ცალი	საყორე ქვა 1 კვ. მეტრი	არტიკ-თირი 1 კუბ. მეტრი, ტლანქად თლილი
აზერბაიჯანის სსრ.	65 მან.	150 მან.	350 მან.	4 მან. და 50 კ.	—
სომხეთის სსრ . .	—	—	—	4 მ. და 00 პ.	15 მან. და 50 კ
საქართველოს სსრ.	70	—	—	5 მან. და 50 კ.	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკები	შემკვრელი მასალა			კრამიტი	
	კირი 1 ტონნა	გაჯი 1 ტონნა	ალებასტრი 1 ტონნა	მარსელური 1.000 ცალი	ქურისა, ადგილობრივი 1.000 ცალი
აზერბაიჯანის სსრ	27 მან.	26 მან.	81 მან.	170 მან.	—
სომხეთის სსრ .	30 მან.	23 მან.	—	130 მან.	118 მან. 32 კაპ
საქართველოს სსრ	50 მან.	30 მან.	—	180 მან.	124 მან.

რესპუბლიკები	ხრეში კუბ. მეტრი	ქვიშა კუბ. მეტრი	სამშენებლო მინქაფა კუბ. მეტრი	მინქაფის ფხვნილი (პუცოლანი) კუბ. მეტრი
აზერბეჯანის სსრ	5 მან. და 70 კ.	4 მან.	—	—
სომხეთის სსრ	—	4 მან.	7 მან.	6 მან. ₾ 22 კ.
საქართველოს სსრ	5 მან.	5 მან.	—	—

2. სარეწაო და საბინაო კოოპერაციის საწარმოთა, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების კუთვნილ საწარმოთათვის, რომელნიც მუშაობენ სამინდვრე ქურებზე გამოსაწვავ მასალის დასამზადებლად—აგურისა, კრამიტისა, კირისა, გაჯისა და ალებასტრისა—შეიძლება ზედნართის წამატება არა უმეტეს საგასაცემო ფასის 20 პროცენტისა.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა შეამოწმონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დაწესებული, ადგილობრივი საშენი მასალის ზღვრული საგასაცემო ფასები, რათა აიკრძალოს 1933 წლის ფაქტიური საგასაცემო ფასების გადიდება.

4. საშენი მასალის რაც შეიძლება უფრო წესიერ სასყიდლის განსაზღვრისა, ამ მასალის თვისების მიხედვით, და საშენი მასალის თვისების ამაღლებისათვის საწარმოთა მიერ ბრძოლის გაძლიერების მიზნით—დაწესებულ იქნეს 8 პროცენტით ფასების შემცირება მე-2 ხარისხის მასალისათვის და 12 პროცენტით მე-3 ხარისხისათვის 1-ლ ხარისხოვანი (სრულღირებულებიანი პროდუქცია) მასალის საგასაცემო ფასებთან შედარებით.

იმ მასალაზე, რაც დაყოფილი არ არის ხარისხებად სტანდარტის მიხედვით, უკეთუ მასალის თვისება ჩვეულებრივზე აცდენილია, ხოლო მშენებლობისათვის-კი ვარგა,—საგასაცემო ფასი შემცირდება 8 პროცენტით დადგენილი პროდუქციის საგასაცემო ფასთან შედარებით.

5. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულს ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის ხაზით—დაამყაროს სისტემატური კონტროლი დამტკიცებული საგასაცემო ფასების დაცვისათვის და მკაცრ პასუხისგებში აძლიოს ყველა დამრღვევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულმა ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის ხაზით შეიმუშაონ 2 დეკადის ვადაზე და წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ღონისძიებანი ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის ორგანიზაციულად განმტკიცებისათვის „ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის ორგანიზაციულად განმტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივნისის 27-ის თარიღისა და 1530 №-ის დადგენილების საფუძველზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1935 წ აგვისტოს 23.
ტფილისი.

---

134. კოლექტიურ მეურნეობებში განსაზოგადოებული ნახირის (ფარა, ჯოგი) სასაქონლო ფერმების მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოაწყონ, სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მითითებათა საფუძველზე, კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირის (ფარა, ჯოგი) გადაყვანა სასაქონლო ფერმების მდგომარეობაზე და ყველა ფერმის რეგისტრაცია, დაამთავრონ რა ეს მუშაობა 1934 წ. ოქტომბრის 1-თვის

2. დამყარებულ იქნეს მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების მოწყობისა და რეგისტრაციის შემდეგი წესი:

ა) ყველა იმ კოლექტიურ მეურნეობაში, რომელსაც ჰყავს, სასაქონლო ფერმასთან ერთად, განსაზოგადოებული ნახირი (ფარა, ჯოგი,) მოაქციოს ეს ნახირი საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმაში;

ბ) ყველა იმ კოლექტიურ მეურნეობაში, რომელსაც ჰყავს განსაზოგადოებული ნახირი, ხოლო არა ფერმად მოწყობილი, გადაყვანილ იქნეს იგი სასაქონლო ფერმის მდგომარეობაზე; მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირის რაოდენობის მინიმუმი, რომელზედაც მეტი ნახირი გადაიყვანება საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმის მდგომარეობაზე;

გ) უკეთუ კოლექტიურ მეურნეობაში ცალკეული სახის საკმარისი რაოდენობის ოთხფეხი საქონელია, მოეწყოს ამ კოლექტიურ მეურნეობაში სპეციალი-

ზირებული საკოლმეურნეო ფერმები (მერძეობისა, მელორეობისა, მეცხვარეობის ფერმები);

დ) უკეთუ კოლექტიურ მეურნეობაში მცირე რაოდენობის სხვადასხვა სახის ოთხფეხი საქონელია,—მოეწყოს შერეული ფერმა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ღორები, ცხვრები) და შერეულ ფერმაში საქონლის მატების მიხედვით გამოიყოს მისგან ცალკეული სახის საქონელი დამოუკიდებელ სპეციალიზირებულ ფერმად;

ე) ყველა არსებული და აგრეთვე ახლად მოწყობილი სამეცხოველეო სასაქონლო ფერმა დარეგისტრებულ იქნეს სარაიონო საადგილმამულო განყოფილებაში;

ვ) სარაიონო საადგილმამულო განყოფილებამ უნდა დაამტკიცოს მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების ყველა გამგე, ხოლო საჯიშო ფერმების გამგეები უნდა დაამტკიცონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა სარაიონო საადგილმამულო განყოფილების წარდგენით;

ზ) სარაიონო საადგილმამულო განყოფილებამ უნდა დაამტკიცოს აგრეთვე კოლექტიური მეურნეობის გამგეობის მიერ გამოყოფილი, მეცხოველეობის მუდმივი ბრიგადის შედგენილობა თვითეულ ფერმაში და მიამაგროს ეს ბრიგადები ვადით არა ნაკლებ 2 წლისა.

3. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველყონ 10 დღის ვადაზე ყველა რაიონი და ყველა ფერმა დავთრებით ფერმების რეგისტრაციის წარმოებისათვის და ფერმების რეგისტრაციის შესახები მოწმობის ბლანკებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი,

---

135. „ა/კსფსრ-ში მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 2-ის დადგენილების აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში კოლექტიური მეურნეობების დაინტერესების გადიდებისა და ამ კულტურების მოსავლიანობის განვითარებისათვის, არსებული საკონტრაქტაციო სისტემის შესაცვლელად, შეტანილ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალური მეურნეობებისათვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ნორმები. ხოლო, ვინაიდან ნედლი წიპწოვანი და კურკოვანი ხილისა და კაკლისა და თხილის კონტრაქტაცია უკვე ჩატარებულია და დამზადება უკვე დაწყებულია,—1934 წელს ნედლი ხილისა და კაკალ-თხილის დამზადება ჩატარებულ იქნეს დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე, გარნა 1934 წელს ყურძნის დამზადება ჩატარებულ იქნეს იმ ნორმების მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ თვითეული რესპუბლიკისათვის ცალკე. მიენდოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან და ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დააწესონ არა უგვიანეს 1935 წ. ივლისის 1-სა 1935 წელს ჩასაბარებელი ნედლი წიპწოვანი ხილის საშუალო რესპუბლიკანური ნორმები, სსრკ-ის სასალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი ჩაბარების ნორმების მიხედვით, ორი წლით.

2. დაწესებულ იქნეს 1934 წლიდან პურის ვაცემის საშუალო რესპუბლიკანური ნორმები ერთ ტონნა ჩაბარებულ ყურძეზზე შემდეგი რაოდენობათ.

აზერბაიჯანის სსრ-ში	185 კილოგრ.
სომხეთის სსრ-ში	185 კილოგრ.
საქარუველო სსრ-ში	224 კილოგრ.

ნედლ წიპწოვან და კურკოვან ხილზე და კაკალ-თხილზე მიღებულ იქნეს ყველა რესპუბლიკისათვის სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმები.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დააწესონ პურისა, მარცვლეული ფურაჟისა და სასურსათო საქონლის გაცემის დიფერენცირებული ნორმები რაიონობით, პროდუქციის რაოდენობისა და თვისების კვალობაზე, თვითეული რესპუბლიკისათვის განსაზღვრული საშუალო ნორმების მიხედვით.

ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტს—სასწრაფოდ გამოჰყოს პურისა და მარცვლეული ფურაჟის ფონდები 1934 წლის მოსავლის ნედლი ხილისა, კაკალ-თხილისა და ყურძნის დამზადების სტიმულირებისათვის სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 2-ის დადგენილებით დამტკიცებული ნორმების კვალობაზე.

3. დაწესებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მომარაგების სახალხო კომისარიატის იმ საბჭოთა მეურნეობების მიერ, რომელთაც აქვთ სასაქონლო გამოსავალი, სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ნორმები: 1934 წლის მოსავლის ყურძნისა—30 ცენტნერის და წიპწოვანი ხილისა 55 ცენტნერის რაოდენობით 2 წლისთვის (1934/35 წლის მოსავლიდან) ერთ ჰექტარ ნაყოფმომცემ ბაღზე და ვენახზე. საბჭოთა მეურნეობების ხილისა და ყურძნის პროდუქცია, რაც ჩაბარებულ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივი გეგმით, ჩაითვალოს რესპუბლიკებისათვის 1934 წლის სახელმწიფოებრივი გეგმით დამტკიცებულ დამზადებათა აღსრულების ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ა/კსფსრ ში ამერიკული ვაზის სადედეების ჩაყრა 1935 წელს მიღწეულ-ნებულ იქნეს 1.000 ჰექტარამდე, შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე: აზერ-ბაიჯანის სსრ-ში—150 ჰექტარი, სომეთის სსრ-ში—30 ჰექტარი და საქარ-თველოს სსრ-ში – 820 ჰექტარი.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა განსაზღვრონ 2 დეკადის ვადაზე რაიონები და ადგილები ახლად ჩასაყრელი სადედეებისათვის და გაითვალისწინონ 1935 წლის გეგმით საჭირო სახსარი, რაც უზრუნველჰყოფს ამერიკული ვაზის სადედეების ჩაყრას.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომი-სართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაონ არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 15-სა მებაღეობის და მევენა-ხეობის სავალდებულო აგროწესები თვითეული კულტურისა და რაიონისათვის ცალკე და მიაწვდინონ ეს აგროწესები 1934 წ. ოქტომბრის 1-მდე საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სად-გურებამდე და სასოფლო საბჭოებამდე; აგრეთვე უნდა მოაწყონ მასსური პო-პულარული ლიტერატურისა, პლაკატებისა და ფურცლების გამოცემა ნაციონა-ლურ ენებზე მებაღეობისა და მევენახეობის აგროტექნიკური საკითხების შე-სახებ.

6. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა შეიმუშაონ ხილის ნარგავთა ჩაყრისა და დამუშავების მექანიზაციის საკითხები; უნდა გამოარკვიონ მევენა-ხეობისა და მეხილეობისათვის საჭირო საცხენო და სატრაქტორო მანქანების ასსორტიმენტი და ა/კსფსრ პირობების შესაფერი საპლანტაჟო გუთნების ტიპი, აგრეთვე განამზადონ განაცხადი მევენახეობის მეურნეობისათვის საჭირო ინდუს-ტრიალურ გაწყობილობაზე (აგრეპუარები, ფილტრები, ტუმბოები, პასტერიზატო-რები, სასტანდრო ჭურჭლეული და სხვა მისთ.), და არა უგვიანეს 1934 წ. სექტემ-ბრის 15-სა წარმოუდგინონ განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

7. სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა უნდა მოაწყოს ადგილობრივი მრეწველობისა და შინამრეწველობის ქარხნებში წვრილი საბალ-საენახო ინვენტარის წარმოება (ხერხი, დანა, ბარი და სხვ.), უზრუნველჰყოს-რა ამ ინვენტარით მეხილეობისა და მევენახეობის რაიონების მომარაგება უკვე 1934 წლის შემოდგომისათვის.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნე-ბულს განაცხადი საჭირო რაოდენობისა და ასსორტიმენტის წვრილ საბალ-საენახო ინვენტარზე.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1934 წ. სექ-ტემბრის 20-დე უნდა შეიმუშაონ და შემოიტანონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში:

ა) იმ რაიონებისა და მიკრორაიონების სია, სადაც მეხილეობა და მევენახეობა უნდა იყოს მძღვანებელ კულტურად—ისე, რომ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავნითარება ამ რაიონებში არ მიმდინარეობდეს მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების საზიანოდ;

ბ) 1935 წელს ახალი ფართობების გაშენების გეგმა და ღონისძიებანი ჭანჭურისა, ბროწეულისა, ფსტისა, ნუშისა, ზეთისხილისა და სხვა, სამხრეთის ხილის, და აგრეთვე თუთის (მთის ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში და ნახიჩევანის ასსრ-ში) ფართობების შემდგომი ზრდის და მოსავლიანობის გადიდებისათვის;

გ) გეგმა და ღონისძიებანი ნაყოფმომცემ ძველ ნარგავთა რეკონსტრუქციისათვის და აგრეთვე ახალ ნარგავთა რემონტისათვის გადარგვით და გადაწვენით—ისეთი ვარაუდით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს 1935 წლის გაზაფხულზე;

დ) ღონისძიებანი რაიონებში მებაღეობისა და მევენახეობის ხაზით აგრომომსახურეობის გაძლიერების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

9. ა/კსფსრ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის გამოყოფილი, „ჩტზ“ 16 ტრაქტორი განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ	6
სომხეთის სსრ	3
საქართველოს სსრ	7

მეხილეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილი 10 „ჩტზ“ განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ	3
სომხეთის სსრ	2
საქართველოს სსრ	5

ა/კსფსრ მეხილეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილი 100 სატვირთო ავტომანქანა განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ	39
სომხეთის სსრ	16
საქართველოს სსრ	44
მევენახეობის სრ. საკავშ. ინსტ.	1

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა იხმარონ საჭირო ღონისძიებანი მიცემული ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომანქანების თავის დროზე მიღებისათვის.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა გაითვალისწინონ 1935 წლის გეგმებსა და ბიუჯეტებში:

ა) ღონისძიებანი გზათა მშენებლობისათვის მეხილეობისა და მევენახეობის რაიონების მიღმეულ პუნქტებში;

ბ) ღონისძიებანი მეხილეობისა და მევენახეობის რაიონებში არსებული სარწყავი ქსელის ექსპლოატაციისა და გაუჯობესებისათვის და წყალსამეურნეო ობიექტების ხაზით საჭირო ახალ ნაგებობათა აშენებისათვის.

11. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა შეამოწმონ 1934 წ. სექტემბრის 1-მდე მეხილეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მუშათა მომარაგების მდგომარეობა და იხმარონ ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის; უნდა მოაწყონ მეხილეობისა და მევენახეობის დიდრონ საბჭოთა მეურნეობებში მუშათა მომარაგების განყოფილებანი; გამოჰყონ ოჯახიანი მუშებისა და სპეციალისტების მუდმივ სარგებლობაში ფართობები ინდივიდუალური მებოსტნეობისათვის.

12. ჩატარებულ იქნეს ა/კსფსრ-ში 1935 წლის დაწყებისას (მაისამდე) ხილისა და ყურძნის ნარგავთა აღრიცხვა და პასპორტიზაცია. მიენდოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაითვალისწინონ 1935 წლის ბიუჯეტში საჭირო სახსარი ამ ღონისძიების განხორციელებისათვის და აგრეთვე დაამყარონ წესი რესპუბლიკებში ამ აღრიცხვის ჩატარებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

---

136. მასწავლებელთა მომარაგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოარკვიონ ერთი დეკადის ვადაზე სასოფლო სკოლების მასწავლებლებისათვის I და II კვარტალში მიუცემელი პურის რაოდენობა (დავალიანება) და დაჰკუარონ ეს დავალიანება მომარაგებისა და 1933 წლის მოსავლის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის გადამეტებით შესრულების საერთო ფონდიდან.

პურის ხაზით მასწავლებლებისადმი დავალიანების შექმნაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

აგვისტოს განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნეს, რომ რესპუბლიკანური სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირები დააჩქარეენ I და II კვარტალის დავალიანებას შაქრის ხაზით განათლების სასოფლო მომუშავეთა მიმართ.

2. წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებს — დაამყარონ, განათლების სახალხო კომისარიატებთან და განათლების დარგის მომუშავეთა კავშირებთან შეთანხმებით, რაიონებზე სასუოსათო საქონლის ფონდების განაწილების მეკიცე წესი.

დაეკალოს „ცეკავშირს", „აზერიტინფაკს" და „ჰაიკოოპს" — უზრუნველჰყონ განათლების სასოფლო მუშაკთა საპირველრიგო მომარაგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (ხორცით, კარაქით და სხვ.) თავიანთი დეცენტრალიზებული ფონდებიდან, რაც დარჩა საარაიონო კავშირებსა და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებში.

3. წინადადება მიეცეს ტფილისის, ბაქოს და ერივნის საქალაქო საბჭოებს — ჩაატარონ უმოკლეს ვადაზე საჭირო ღონისძიებანი ქალაქთა პედაგოგების საზოგადოებრივი კვების და მომარაგების გაუმჯობესებისათვის (სასადილოები, დახურული განმანაწილებლები და საგარეთუბნო მეურნეობანი).

4. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა აღძრას სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი ხორცეულისა და ცხიმეულის სპეციალური ფონდების გამოყოფის შესახებ პედაგოგების საზოგადოებრივი კვებისა და საპირველრიგო მომარაგების ორგანიზაციისათვის ამიერკავკასიის მთავარ ქალაქებში (ტფილისი, ბაქო, ერივანი, განჯა, ქუთაისი, ლენინაკანი, ბათუმი, სოხუმი).

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საქალაქო საბჭოებს და საარაიონო აღმასრულებელ კომეტეტებს — გამოჰყონ მიწის ნაკვეთები სკოლებთან მასწავლებელთა ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების მოსაწყობად, მიაწოდონ მათ საბოსტნე-საბაღჩე კულტურების თესლეული და ინვენტარი და აგრეთვე დაეხმარნენ მათ საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებისაგან ცხვრების, ხბოების, გოჭების შეძენის საქმეში.

6. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მომარაგების და განათლების სახალხო კომისარიატებთან და განათლების დარგის მომუშავეთა კავშირებთან ერთად, გააზუსტონ მასწავლებელთა და მათ რჩენაზე მყოფთა კონტიგენტები.

7. საქალაქო საბჭოებმა, საარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, განათლების სახალხო კომისარიატებმა და განათლების დარგის მომუშავეთა კავშირებმა უნდა დაამყარონ სისტემატური მეთვალყურეობა პარტიისა და მთავრობის იმ დაოგენილებათა განხორციელებისათვის, რაც ეხება მასწავლებელთა მო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურეობას, და უზრუნველჰყონ მათთვის მომარაგების ფონდების მთლად მიწვდენა და შექმნან საკუთარი სასურსათო ბაზისი განათლების დარგის მომუშავეთათვის.

ყველა ის პირი, ვინც დამნაშავეა მასწავლებლების ნორმალური მომარაგების დარღვევაში, უცილობლად მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლოს და საპროკურატურო ორგანოების მეშვეობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. პუტრევი.**

1934 წ. აგვისტოს 29.
ტფილისი.

საქ. სახკომსაბჭოს სტამბა

მთავლ. № 3840. დაკვ. 33¹ ტირაჟი 800 ც.